

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს „ეკოსტილი“ (ს/ნ 445478750)

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს „ეკოსტილი“ ს/ნ 445478750 +შპს ინვესტი (445491441)

ჯამობრივი (კონსოლიდირებული) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წ

	31.12.2020	31.12.2019
აქტივები		
ფულადი სახსრები	13183	4060
სავაჭრო მოთხოვნები	119339	138393
გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	0	0

მარაგები	1665201	1947592
- მზა პროდუქცია	1509982	1645524
მიმდინარე მარაგები	155219	302068
საგადასახადო ვალდებულებები		
სხვა მიმდინარე აქტივები	31435	52591
ბიოლოგიური აქტივები	0	0
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
მთლიანი მიმდინარე აქტივები	1829158	2142636
ძირითადი საშუალებები	189518	212089
- მიწა	0	0
- შენობა-ნაგებობები		
- სხვა ძირითადი საშუალებები	189518	212089
- არამატერიალური აქტივები		
- საიჯარო აქტივი საკუთრების გადაცემის პირობით		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	773000	696278
დაუფარავი ზარალი	0	0
კაპიტალი (გაუნაღდებელი ნაწილი)	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
სულ აქტივები	2791676	3051003
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო ვალდებულებები	699353	835750
ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	345414	165187
საგადასახადო ვალდებულებები	30774	53905
დარიცხული ხარჯები და სხვა გადავადებული შემოსავალი		0
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები		
ბანკებისგან ნასესხები თანხები	1222077	1425590
სხვა ნასესხები თანხები		
სხვა ვალდებულებები	1062	
სულ ვალდებულებები	2298680	2480432
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	767143	692826
გაუნაწილებელი მოგება	-274147	-122255
გადაფასების რეზერვი		
სხვა კაპიტალი		
სულ საკუთარი კაპიტალი	492996	570571
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2791676	3051003
სულ მოკლევადიანი აქტივები	1829158	2142636
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1047106	1026407

შპს „ეკო სტილი“ ს/ნ 445478750 + შპს ინვესტი ს/ნ 445491441 ჯამობრივი 2020 წ

შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება		
	31.12.2020	31.12.2019
ნეტო ამონაგები	1154634	1980999
- საქონლის გაყიდვიდან	1109608	1980999
- მომსახურების გაწევიდან	45026	0
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
- სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-851297	-1163896
- საწყისი მარაგები	-1947592	-2203777
- მარაგების შესყიდვა	-568906	-907711
- გადამუშავების დანახარჯები		0
- საბოლოო მარაგები	1665201	1947592
საერთო მოგება	303337	817103
სხვა შემოსავალი	6157	82166
დასაქმებულთა ანაზღაურება	-72721	-193350
ცვეთა/ამორტიზაცია	-28847	-28405
გაუფასურების ხარჯი მათ შორის	-164474	-179374
- ფინანსური აქტივები	-164474	-179374
- მარაგები	0	0
- სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-104561	-204975
სხვა ხარჯები	-90783	-219145
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე	-151892	74020
მოგების გადასახადი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-151892	74020
საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული	570571	398045
- გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (წინა წლის საბოლოო ნაშთი)	570571	398045
კაპიტალში შეტანა	74317	98506
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში	-151892	74020
ბიოლოგიური აქტივის გასვლისას, გადაფასების რეზერვის ნაშთის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
დივიდენდის მოგების გადასახადი	0	0
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	492996	570571

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და

განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ეკო სტილი“ ს/ნ (445478750) , შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 17.02.2016 წელს. საწარმოს იურიდიული მისამართი რუსთაველის 61. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ბათუმი, სოხუმის ქუჩა 21. საწარმო დაფუძნებული და 100% წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ნათია ბასილაძე (პ/ნ 61001011208) . საზოგადოებას 100%-იანი წილით დაფუძნებული აქვს შპს „ინვესტი“ ს/ნ 445491441 (ქობულეთი, თამარ მეფის N 3) ასევე გააჩნია 25 %-იანი წილი შპს „ეკოლორში“(ბათუმი რუსთაველის 35)

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საღებავებისა და მასთან დაკავშირებული აქსესუარების შეძენა რეალიზაცია. შპს„ინვესტმა“ ააშენა საცხოვრებელი სახლი, ხოლო შპს „ეკოლორმა“ განახორციელა საღებავების შემრევი დანადგარების იმპორტი. ჯერჯერობით მისი მონტაჟი არ მომხდარა და საქმიანობაც დაწყებული არ არის.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2019 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით. შპს „ეკოსტილს“ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება ბაზის ბანკის სასესხო ვალდებულება 633605 ლარი, ხოლო შპს „ინვესტს“ 588472 ლარი.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული. შპს „ეკოსტილს“ ასევე შპს „ინვესტს“ გააჩნია ბაზის ბანკის კრედიტები.

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

✓ შენობა ნაგებობები	-2 %
✓ მანქანა დანადგარები	- 10-15%
✓ საოფისე აღჭურვილობა	10-15%
✓ ავეჯი და მოწყობილობები	10-15%
✓ სატრანსპორტო საშუალებები	10%
✓ სხვა ძირითადი საშუალებები	-5-15%

3.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რისკი ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

დირექტორი:


ი. ბასილაძე

